საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ დავით გურგენიძეს

ბატონო დავით,

ნება მომეცით, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სახელით, თქვენ და თქვენი სახით სახელოვან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს, მის პროფესორ - მასწავლებლებს, თანამშრომლებს, სტუდენტებს, მივულოცოთ გამორჩეული - 100 წლის იუბილე! ვულოცავთ ამ დღეს თქვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, გულშემატკივრებს, სრულიად საქართველოს!

ბატონო დავით,

თქვენ გამორჩეული რექტორი ხართ, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ არ ივიწყებთ წინმყოფთა დამსახურებას და ამ სადღესასწაულო დღეს თქვენს გვერდით არიან თქვენი კოლეგები, უნივერსიტეტის ყოფილი რექტორები: გოჩა ჩოგოვაძე, რამაზ ხუროძე, არჩილ მოწონელიძე, არჩილ ფრანგიშვილი. მადლობა მათ!

ჩვენ ძალიან ვაფასებთ, თქვენი უნივერსიტეტის ფარგლებში ეკონომიკური მიმართულების განვითარებას. აქ ბევრი ინოვაციაა. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს კოლეგებს!

დღეს ვიხსენებთ ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩაიფიქრა საქართველოში უმაღლესი ტექნიკური განათლების კერის შექმნა, ვინც განახორციელა და დღემდე მოიტანა ეს უნივერსიტეტი! დიდება მათ სახელებს!

ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიში აისახა საქართველოში ამ 100 წლის განმავლობაში მიმდინარე სოციალური - პოლიტიკური პროცესები, ბევრი ადამიანის თავგადასავალი.

ერთს გავიხსენებთ, მომავლის გაკვეთილად. დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მისი მასწავლებლის, დიდი ნიკო მარის პოზიციები საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის შექმნას-

თან დაკავშირებით განსხვავდებოდა. ჯავახიშვილის მიზანი იყო - ქართული უნივერსიტეტი ქართულ ენაზე. მარი თვლიდა, რომ პოლიტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი უფრო საჭირო იყო, მაგრამ სასწავლო ენად ქართულს არ განიხილავდა, ამის შეუძლებლობის გამო. ნიკო მარის პოზიცია ნასაზრდოები იყო იმით, რომ საბუნებისმეტყველო და ტექნიკური დარგების მეცნიერული ქართული ენა (ტერმინოლოგია) არ იყო განვითარებული, სასწავლო პროცესების წარმართვისათვის, საჭირო დონეზე.

ქართველთა ბედად, გაიმარჯვა ივანე ჯავახიშვილის პოზიციამ, შეიქმნა ქართული - დედა უნივერსიტეტი. დიდი ივანე აქ არ გაჩერებულა. მან პატივი მიაგო მარის პოზიციას საქართველოსათვის ინდუსტრიული განვითარების აუცილებლობაზე და 1922 წლის 16 იანვარს უნივერსიტეტში მისი, როგორც რექტორის, თაოსნობით გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. ხოლო, მას შემდეგ რაც დაძლეულ იქნა ნიკო მარის შიში ქართულ ენაზე სწავლებისათვის ბარიერის არსებობის შესახებ და უკვე შედგა პირველი საინჟინრო გამოშვება, 1928 წლის 1 ოქტომბერს, აღნიშნული ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი! ამ დიდი, საქართველოს მომავლისათვის სასარგებლო აზრთა, სინთეზის შედეგია დღევანდელი იუბილე!

გისურვებთ, თქვენს მიერ მომზადებულ ეროვნულ კადრებს ფართო პროფესიული გზა და შესაძლებლობები ეპოვოთ საქართველოს განვითარებულ ეკონომიკურ ცხოვრებაში!

პატივისცემით: საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
მიხეილ ჯიბუტი